

## საჯარო სამსახურების დაძმობილების (ტვინინგის) პროექტი

ტვინინგის პროექტი არის ევროკავშირის ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ინსტიტუციონალური თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ბენეფიციარი ან პარტნიორი ქვეყნების საჯარო უწყებებს შორის.

დაძმობილების პროექტები აგროვებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო სექტორებში არსებულ ექსპერტულ ცოდნას, კოლეგიალური თანამშრომლობის გზით კონკრეტული სავალდებულო შედეგების მიღწევის მიზნით.



**აღნიშნულ პროექტს ახორციელებენ:** ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო, E-Control და გერმანიის ფედერალური ქსელის სააგენტო ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის დარგებისათვის, BNetzA, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით.



### ევროკავშირი

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს საკუთარი გამოცდილების, რესურსებისა და მომავლის გაერთიანება. ერთობლივი ძალისხმევით, მათ შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა, თუმცა ამავედროულად შეძლეს კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობისა და ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნება. ევროკავშირი მტკიცედ აგრძელებს საკუთარი მიღწევებისა და ფასეულობების სხვა ქვეყნებისა და ერებისათვის გაზიარების პროცესს.

<http://europa.eu>

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე ექსკლუზიურად პასუხისმგებელია ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ტვინინგის პროექტი -  
განახლებადი ენერჯის  
რეგულირება საქართველოში

(ENI/2020/415-426)



## პროექტის კომპონენტები

### კომპონენტი 1:

**ქსელური სატარიფო მეთოდოლოგიების შემუშავება**

ამ კომპონენტის ფარგლებში მოხდება სამომავლო ქსელის ტარიფის მეთოდოლოგიების შემუშავება, გადაცემისა და განაწილების ოპერატორთა მომსახურების ანაზღაურების მიზნით - რაც გაგვცემს პასუხს შეკითხვაზე, რამდენი უნდა გადაიხადონ მომხმარებელთა კონკრეტულმა ჯგუფებმა ქსელის ოპერატორთა კონკრეტული მომსახურებისათვის.

### კომპონენტი 2: რეგულირების ჩარჩოს შემუშავება საბითუმო და საცალო ბაზრებზე მოთხოვნის მხარის ჩართულობისათვის

ამ კომპონენტის მიზანია გარემოს შექმნა მოთხოვნის მართვისათვის, პროსიუმერებისა და ადგილობრივი ენერჯეტიკული გაერთიანებების ხელშეწყობა შესაბამისი წამახალისებელი სქემებისა და მონაწილეობის სტიმულირების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სარგებელი მომხმარებლებისათვის და ეფექტური კონკურენცია ელექტროენერჯის ეროვნულ ბაზარზე.

### კომპონენტი 3: განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრირებისა და ენერგოეფექტურობის რეგულირების ჩარჩოს შემუშავება

ეს კომპონენტი ეხება განახლებადი ენერჯის წყაროების და ენერგოეფექტურობის პოლიტიკების განხორციელებას და უწევს მხარდაჭერას სემეკს მის საქმიანობაში, საქართველოს ენერჯეტიკული სისტემის ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით.

## მწვანე მომავლისკენ

**საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)**

ა.მიცკევიჩის 19, თბილისი, 0194, საქ.  
☎ +995 32 2420 180  
✉ [mail@gnerc.org](mailto:mail@gnerc.org)



### შტეფან კაცმანი

მუდმივი უცხოელი მრჩეველი (RTA)  
[Stefan.Katzmann@e-control.at](mailto:Stefan.Katzmann@e-control.at)

### ზვიად გაჩეჩილაძე

მუდმივი უცხოელი მრჩეველის კოლეგა  
[Z.Gachechiladze@gnerc.org](mailto:Z.Gachechiladze@gnerc.org)

### მარიამ ჭუმბაძე

მუდმივი უცხოელი მრჩეველის ასისტენტი  
[Marlam.Chumbadze@e-control.at](mailto:Marlam.Chumbadze@e-control.at)

## ფაქტები

სახელწოდება: ქსელური სატარიფო მეთოდოლოგიების, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების რეგულირების სტრატეგიის შემუშავება და რეგულირების ჩარჩოს შექმნა მოთხოვნის მხარის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

## მიზანი:

ამ ტვინინგის პროექტის მიზანია ინსტიტუციონალური ჩარჩოს შემუშავება საქართველოს ენერჯეტიკული ბაზრის რეგულირების განხორციელებისათვის, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი უწყების შესაძლებლობების გაძლიერება. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესი განხორციელდება ქსელურ სატარიფო მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შემუშავების, ასევე ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სტრატეგიის და მოთხოვნის მხარის ჩართულობის ხელშეწყობის რეგულირების ჩარჩოს შექმნის გზით.

**პროექტის ხანგრძლივობა:** 27 თვე  
**ბიუჯეტი:** 1.5 მილიონი ევრო

## ჩვენი მისამართები სოციალურ მედიაში

 [www.e-twinning.at](http://www.e-twinning.at)

 [EUGeorgiaEnergy](https://twitter.com/EUGeorgiaEnergy)

 [EnergyTwinning4Georgia](https://www.facebook.com/EnergyTwinning4Georgia)